საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება №6/18

ქ.თბილისი

"01" ივლისი 2015 წ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კომისიაში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით შეიქმნას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   ა. გიორგი ფრუიძე - კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

   ბ. რატი სხირტლაძე - კომისიის აპარატის ინფორმაციული ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;

   გ. ირინე ვერძეული - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

   დ. დავით გოგიჩაიშვილი - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

   ე. არჩილ მაკარიძე - კომისიის აპარატის ინფორმაციული ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი;

   ვ. ანა ნაკაშიძე - კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ საქართველოს არსებული კანონმდებლობისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივის (დანართი XV-B; 2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/21/EC „ჩარჩო“ დირექტივის, რომელიც შესწორებულ იქნა დირექტივა No 2009/140/EC -ით დებულებების „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante რეგულაციას დაქვემდებარებული პროდუქტისა და მომსახურების შესაბამისი ბაზრების განსაზღვრისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი(ებ)ის გამოვლენის შესახებ“) შესწავლა და შესაბამისი წინადადებების მომზადება 2015 წლის 1 დეკემბრამდე;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის წევრს (გიორგი ფრუიძე);

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე